

არ არის რაგვიფიცირებული მხარეთა მიერ

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და თურქმენეთის მთავრობა, შემდგომში „მხარეებად“
წოდებულნი,

მხედველობაში იღებენ ქვეყნებს შორის ორმხრივ ხელსაყრელ სავაჭრო-ეკონომიკური
ურთიერთობების განვითარებას,

ხელმძღვანელობენ ორ ქვეყანას შორის საავტომობილო კავშირებისა და მათ გერიგორიებზე
საგრანზიტო მიმოსვლის შემდგომი განვითარებისაკენ მისწრაფებით, ასევე სურთ რა გაამარტივონ
ეს მიმოსვლები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები აწარმოებენ მგზავრების, ტურისტების ჩათვლით, არარეგულარულ გადაყვანას,
აგრეთვე ტვირთების გადაზიდვებს ორ ქვეყანას შორის და გრანზიტით მათ გერიგორიებზე,
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი გზებით, საქართველოს რესპუბლიკაში
ან თურქმენეთში რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებებით.

მუხლი 2

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

ტერმინი „გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, უფლებამოსილს
შეასრულოს საერთაშორისო გადაზიდვები, მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ტერმინი „ავტოსაგრანსპორტო (საგრანსპორტო) საშუალება“ ნიშნავს:

ტვირთების გადაზიდვის დროს – სატვირთო ავტომობილს, სატვირთო ავტომობილს
მისაბმელით, საავტომობილო საწვევარს ან საავტომობილო საწვევარს ნახევარ მისაბმელით, ნახევარ
მისაბმელს;

მგზავრების გადაყვანის დროს – ავტობუსს, ანუ მგზავრების გადასაყვანად განკუთვნილ
ავტოსაგრანსპორტო საშუალებას, რომელსაც გააჩნიათ არა უმცირესი 8 დასაჯდომი ადგილი,
მძღოლის ადგილის ჩათვლელად, აგრეთვე მისაბმელს, მგზავრების ტვირთის გადასატანად;

ტერმინი „ნებართვა“ (დოკუმენტი მგზავრობაზე) ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც ერთი მხარის
საგრანსპორტო საშუალებას მეორე მხარის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლის, ან გრანზიტით
გაყვანის უფლებას აძლევს.

ტერმინი „ქვოგა“ ნიშნავს ნებართვათა რაოდენობას, რომელიც გაიცემა ყოველწლიურად მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ.

ტერმინი „მგზავრთა გადაყვანა დახურული კარით“ (ტურისტული გადაყვანა) ნიშნავს ერთი და იგივე შემადგენლობის მგზავრთა ჯგუფის ერთი და იგივე ავტოსაგრანსპორტო საშუალებით გადაყვანას, ჩაჯდომის პუნქტიდან დაბრუნების პუნქტამდე მგზავრთა აყვანისა და ჩამოსმის გარეშე, ამასთან, ეს ორივე პუნქტი მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება,

ტერმინი „გრანზიტული გადაყვანა“ ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას ერთ-ერთი მხარის ტერიტორიის გავლით, რომლის დროსაც გამგზავრებისა და მიღების პუნქტები არ იმყოფებიან ამ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 3

არც ერთმა მხარემ არ უნდა გადაახდევინოს ბაჟი შემოგანაზე ან გაგანაზე; ან დააწესოს გადასახადი (საბაჟო გადასახადის ჩათვლით) მეორე მხარის საგრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე, გარდა:

ა) გადასახადისა ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურების ქსელის გამოყენებისათვის (ბეგარა გზებისა და ხიდების გამოყენებისათვის);

ბ) არადისკრიმინაციული ხასიათის მოსაკრებლები, საწვავის საერთაშორისო და ეროვნული ფასებს შორის სხვაობის დასაფარავად;

გ) მოსაკრებლები, თუ საგრანსპორტო საშუალების წონა ან დატვირთვა აღემატება მხარეთა კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს;

დ) მოსაკრებლები (მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე) ერთ-ერთი მხარის საგრანსპორტო საშუალებების მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე დადგენილი ქვოგის ზევით განხორციელებულ გადაზიდვებზე. ეს საკითხი რეგულირდება განსაკუთრებული ოქმის მეშვეობით.

მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის განსახილველად და კონსულტაციების ჩასატარებლად ყალიბდება მხარეთა წარმომადგენლებისაგან შედგენილი შერეული კომისია. შერეულ კომისიას შეუძლია შესწორება შეიგანოს ამ შეთანხმების ნებისმიერ მუხლში და წარუდგინოს დასამტკიცებლად მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს.

შერეული კომისია იკრიბება აუცილებლობისას ერთ-ერთი მხარის თხოვნით.

მუხლი 5

ერთ-ერთი მხარის გადამზიდველი ახორციელებს რეგულარულ რეისებს მეორე მხარის ტერიტორიაზე, ან რეგულარულ გრანზიტულ რეისებს მეორე მხარის ტერიტორიის გავლით, მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან წინასწარ მიღებული ყოველწლიური ნებართვით.

ასეთ გადაზიდვებზე, მხარეთა კომპეტენტური ორგანოები წინასწარ ახდენენ წინადადებების ურთიერთგაზიარებას.

ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადაზიდვის (ფირმის) დასახელებაზე, სვლაგეგმზე, მგზავრების გადაყვანის გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტებზე.

ერთი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალებით განხორციელებული მგზავრების გადაყვანა დახურული კარით (გურისტული გადაყვანა) გადაყვანა მეორე მხარის ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან, არ საჭიროებს ნებართვის მიღებას, თუ ისინი სორციელდება მხარეების მიერ მიღებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 6

საგრანსპორტო საშუალებებით გვირთის გადაზიდვა, ან მხარის ტერიტორიაზე გრანზიტით გადაზიდვა, სორციელდება კომპეტენტური ორგანოების მიერ ქვოტების საფუძველზე წინასწარი გაცემული ნებართვებით, გარდა გამონაკლისისა:

ა) მიცვალებულის გადაყვანა (განსაკუთრებით ამ მიზნისათვის განკუთვნილი სპეციალური საგრანსპორტო საშუალებებით);

ბ) თეატრალური აქსესუარების გადაზიდვა;

გ) დაზიანებული და წყობიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;

დ) საფოსტო გადაზიდვა;

ე) თვითმფრინავის სარეისო მარშრუტის შეცვლის შედეგად, დაუგეგმავი გვირთის გადაგანა აეროპორტში და პირიქით;

ვ) სტიქიური უბედურების დროს დაზარალებისათვის განკუთვნილი მასალების გადაზიდვა;

ზ) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის საქონლისა და ექსპონატების გადაზიდვა;

თ) შერეულ კომისიასთან შესათანხმებელი სხვა შემთხვევები.

მუხლი 7

გვირთების ყოველი გადაზიდვისათვის ნებართვა გაცემა საგრანსპორტო საშუალებების ერთ რეისზე ორივე მიმართულებით. გაცემული ნებართვა იძლევა მეორე მხარის ტერიტორიაზე გვირთის დაგვირთვის უფლებას.

ნებართვა მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ნებართვა მომდევნო წელზე გაცემა ყოველი წლის ნოემბერში. აუცილებლობის შემთხვევაში, ზოგიერთი დამატებითი ნებართვა გაცემა მათი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მხარეთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ნებართვა გრანზიტზე მოქმედია მხოლოდ ერთ საგრანზიტო რეისზე, ორივე მიმართულებით მხარეთა ტერიტორიის გავლისას.

ნებართვა მოქმედია მხოლოდ ერთი საგრანსპორტო საშუალებისათვის და მხოლოდ იმ გადაზიდვისათვის, ვისზეც იქნა გაცემული. ნებართვა სხვა პირზე გადაცემას არ ექვემდებარება.

ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები თანხმდებიან ასეთი ნებართვების გაცემის ფორმებსა და წესებზე.

მუხლი 8

იარაღის, საომარი და ასაფეთქებელი საშუალებების და სამხედრო მოწყობილობების გადაზიდვა მხარეთა შორის ან გრანზიტიტ მათი ტერიტორიის გავლით, მოითხოვს ამ მიზნისათვის აუცილებელი სპეციალური ნებართვის მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ საშიში გვირთის გადაზიდვა მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, გადაზიდვა უნდა მიიღოს იგი მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან.

შეგანისათვის აკრძალული და ადამიანთა სიცოცხლისათვის, მცენარეთა და ცხოველთათვის საშიში გვირთების გადაადგილებაზე ნებართვა გრანზიტიტ არ გაიცემა.

როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავტოსაგრანსპორტო საშუალების წონა და გაბარიტები აღემატება მეორე მხარის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, გადაზიდვა უნდა მიიღოს ამ მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან სპეციალური ნებართვა.

თუ ამ მუხლის 1 და 2 პარაგრაფებში ნახსენები ნებართვები ითვალისწინებენ ავტოსაგრანსპორტო საშუალების მოძრაობის რაიმე გარკვეულ მარშრუტს, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ მარშრუტის მიხედვით.

მუხლი 9

გვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა წინამდებარე შეთანხმების თანახმად უნდა პასუხობდეს გვირთების საერთაშორისო გადაზიდვებზე საერთაშორისო საბაჟო კონვენციის TIR CARNETS-ის და მხარეთა მოქმედი ეროვნული კანონებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მუხლი 10

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გადაზიდვები ხორციელდება მხოლოდ იმ გადაზიდვების მიერ, რომელმაც თავიანთი ქვეყნის შიგა კანონმდებლობის შესაბამისად მიიღეს უფლება განახორციელონ საერთაშორისო გადაზიდვები. ნებართვა, გაცემული გადაზიდვაზე, მოქმედია მხოლოდ მისთვის და არ ექვემდებარება სხვა პირებზე გადაცემას.

მუხლი 11

ერთი მხარის გადაზიდვას ეკრძალება განახორციელოს მგზავრების გადაყვანა და/ან გვირთის გადაზიდვა მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის.

მუხლი 12

ერთი მხარის გადამზიდავს უფლება აქვს განახორციელოს გვირთების გადაზიდავა მეორე მხარის გერიგორიიდან მესამე ქვეყნის გერიგორიაზე, ასევე მესამე ქვეყნის გერიგორიიდან მეორე მხარის გერიგორიაზე, უკანასკნელის კომპეტენტიური ხელისუფლებისაგან მიღებული სპეციალური ნებართვის არსებობისას.

მუხლი 13

გადაზიდავები, ამ შეთანხმების დებულებების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თითოეული ავტოსაგრანსპორტო საშუალების, რომლებიც ასრულებენ გადაზიდავას, მფლობელის მიერ მესამე პირისათვის ბარალის მიყენების პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის პირობით.

მუხლი 14

წინამდებარე შეთანხმების დებულებების დარღვევების შემთხვევაში იმ ქვეყნის კომპეტენტიური პირები, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, მეორე ქვეყნის კომპეტენტიური ორგანოების თხოვნით, სადაც აღვილი ჰქონდა დარღვევას თავისი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად, ვალდებული არიან შეასრულონ ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიებებიდან:

ა) წარუდგინონ გადამზიდავს გაფრთხილება;

ბ) წარუდგინონ გადამზიდავს გაფრთხილება განცხადებით, მეორე დარღვევის შემთხვევაში კი მას ჩამოერთმევა გადაზიდავების განხორციელების ნებართვა გარკვეული დროით, ან იგი გაუქმებულ იქნება, ამ მუხლის გ) პარაგრაფის თანახმად;

გ) გადაღონ გარკვეული ვადით, ან გააუქმონ ნებართვის მოქმედება, გაცემული წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა კომპეტენტიური ორგანოები აცყობინებენ ერთმანეთს მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 15

მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს, საბაჟო და სხვა ფორმლობების მაქსიმალური გამარტივებისა და დაჩქარებისათვის, რომლებიც ეხება მგზავრების გადაყვანასა და გვირთების გადაზიდავას.

მუხლი 16

ავტოსაგრანსპორტო საშუალებების საწვავი, მოთავსებული საწვავის სტანდარტულ ავზებში, თავისუფლდება საბაჟო და ყველა სხვა სახის გადასახადებისაგან. საწვავის სტანდარტულ ავზად ითვლება საგრანსპორტო საშუალებების დამამზადებელ ქარხნებში დამზადებული ავზი.

მუხლი 17

გამოუყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება ხელახალ გაგანას, ხოლო შეცვლილი სათადარიგო ნაწილები უნდა იქნას ქვეყნიდან გაგანილი, ან განადგურებული, ან შესაბამისი მხარის გერიგორიაზე დადგენილი წესისამებრ ჩაბარებული.

მუხლი 18

ავარიების, დაზიანებებისა ან სხვა გართულებების შემთხვევაში, მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა შემთხვევას, უნდა მიაწოდონ მეორე მხარეს ანგარიშები, გამოძიების შედეგები და სხვა აუცილებელი ინფორმაციები.

მუხლი 19

გადაზომიდავი და საგრანსპორტო საშუალებათა ეკიპაჟი, რეგისტრირებული ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ემორჩილება მეორე ქვეყნის საგზაო მოძრაობის მარეგულირებელ კანონებსა და წესებს.

გრანსპორტირების ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც გაუთვალისწინებელია ამ შეთანხმებით, რეგულირდება მხარეთა კანონებით, ნორმატიული აქტებითა და წესებით.

მუხლი 20

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

საქართველოს რესპუბლიკაში – გრანსპორტის სამინისტრო;

თურქმენეთში – საავტომობილო გრანსპორტის სამინისტრო.

მუხლი 21

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად მისი რატიფიცირების დამადასტურებელი ნოტების გაცვლის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

წინამდებარე შეთანხმება ავტომატურად გრძელდება ყოველ მომდევნო წელს, თუ რომელიმე მხარე, წერილობით ფორმაში არა უგვიანეს სამი თვისა ვადის გასვლამდე არ გამოთქვამს სურვილს მის შეწყვეტაზე.

შესრულებულია ქ. აშგაბატში, 1993 წლის 17 აგვისტოს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქმენულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის
სახელით

თურქმენეთის
სახელით